

## განმარტებითი ბარათი

„სამხედრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიმართ

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვემდებარედ განისაზღვრა რიგი დანაშაულთა გამოძიება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით თავდაცვის სამინისტროს ქვემდებარედ განსაჯრული დანაშაულების გამოძიების უზრუნველსაყოფად თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი.

სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფისათვის და მასზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა „სამხედრო პოლიციის შესახებ“ კანონის პროექტის მომზადება.

კანონის პროექტით განსაზღვრულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დანიშნულება, ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლები, საქმიანობის პრინციპები და მიმართულებები, უფლებამოსილებები, აგრეთვე სამხედრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესი და მოსამსახურე პირთა სოციალური დაცვის გარანტიები.

„სამხედრო პოლიციის შესახებ“ კანონის მიღება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ფინანსური სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებული არ არის.